საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №41

2011 წ. „9“ 03.

ქ. თბილისი

სსიპ - ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება-კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 და 33-ე მუხლების საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 9 მარტის №4 სხდომის ოქმის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ სსიპ - ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება-კოლეჯი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და მიეცეს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტები	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1	ელექტრიკოსი	II	30	ელექტრიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
2	სარკინიგზო გადამზიდავის მოსამზადებელი პროგრამა	III	60	სარკინიგზო გადამზიდავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
3	შემდუღებელი (ელექტრორკალით)	I	20	შემდუღებელის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

2. სსიპ - ახალქალაქის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება-კოლეჯს სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 36 ადგილით.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 9 მარტის №4 სხდომის ოქმის მე-16 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარე

კახი ყურაშვილი

საბჭოს მდივანი

გაიანე სიმონია